

შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „მითანა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

სარჩევი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9

შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2019	2018
ამონაგები	10	13,980,704	13,326,890
თვითღირებულება		(9,593,013)	(9,056,625)
საერთო მოგება		4,387,691	4,270,265
სხვა შემოსავლები		60,748	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(1,704,780)	(3,120,549)
მიწოდების დანახარჯები	12	(1,358,522)	(958,994)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(121,962)	(31,329)
სხვა ხარჯები		(176,675)	-
საოპერაციო მოგება		1,086,500	159,393
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		(837,459)	(1,337,300)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(837,459)	(1,337,300)
მოგება დაბეგვრამდე		249,041	(1,177,907)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		249,041	(1,177,907)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		249,041	(1,177,907)

კახაბერ ყრუაშვილი

დირექტორი

შპს მითანა
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს მითანა
(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2019	2018
ამონაგები	10	13,980,704	13,326,890
თვითღირებულება		(9,593,013)	(9,056,625)
საერთო მოგება		4,387,691	4,270,265
სხვა შემოსავლები		60,748	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(1,704,780)	(3,120,549)
მიწოდების დანახარჯები	12	(1,358,522)	(958,994)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(121,962)	(31,329)
სხვა ხარჯები		(176,675)	-
საოპერაციო მოგება		1,086,500	159,393
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		(837,459)	(1,337,300)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(837,459)	(1,337,300)
მოგება დაბეგვრამდე		249,041	(1,177,907)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		249,041	(1,177,907)
სხვა სრული შემოსავალი: შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		249,041	(1,177,907)

კახაბერ ყრუაშვილი
დირექტორი



შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		12/31/2019	12/31/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	6,584,817	4,614,880
სხვა არამატერიალური აქტივები	4	28,399	35,098
საინვესტიციო ქონება		-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-
		6,613,216	4,649,978
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	56,164	487,957
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,488,657	704,239
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		947,205	580,308
მარაგები	7	1,887,169	1,082,832
სხვა მიმდინარე აქტივები		18,854	6,135
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
		4,398,049	2,861,471
მთლიანი აქტივები		11,011,265	7,511,449
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		304,925	271,300
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(3,856,770)	(4,105,809)
		(3,551,845)	(3,834,509)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	10,481,512	7,139,481.0
ანარიცხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		10,481,512	7,139,481
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8	1,724,259	285,276
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	2,295,149	1,232,174
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		7,855	171
საგადასახადო ვალდებულებები		54,335	129,354
დარიცხული ვალდებულებები		-	2,559,502
გადასახდელი დივიდენდი		-	-
		4,081,598	4,206,477
მთლიანი ვალდებულებები		14,563,109	11,345,958
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,011,264	7,511,449

კახაბერ ყრუაშვილი

დირექტორი

შპს მითანა
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს მითანა
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		12/31/2019	12/31/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	6,584,817	4,614,880
სხვა არამატერიალური აქტივები	4	28,399	35,098
საინვესტიციო ქონება		-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-
		6,613,216	4,649,978
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	56,164	487,957
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,488,657	704,239
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		947,205	580,308
მარაგები	7	1,887,169	1,082,832
სხვა მიმდინარე აქტივები		18,854	6,135
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
		4,398,049	2,861,471
მთლიანი აქტივები		11,011,265	7,511,449
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		304,925	271,300
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(3,856,770)	(4,105,809)
		(3,551,845)	(3,834,509)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	10,481,512	7,139,481.0
ანარიცხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		10,481,512	7,139,481
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8	1,724,259	285,276
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	2,295,149	1,232,174
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		7,855	171
საგადასახადო ვალდებულებები		54,335	129,354
დარიცხული ვალდებულებები		-	2,559,502
გადასახდელი დივიდენდი		-	-
		4,081,598	4,206,477
მთლიანი ვალდებულებები		14,563,109	11,345,958
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,011,264	7,511,449

კანაბერ ყრუაშვილი
დირექტორი



შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მოთიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	257,300	-	(2,927,902)	(2,670,602)
წმინდა მოგება	-	-	(1,177,907)	(1,177,907)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(1,177,907)	(1,177,907)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	14,000	-	-	14,000
2018 წლის 31 დეკემბერი	271,300	-	(4,105,809)	(3,834,509)
წმინდა მოგება	-	-	249,041	249,041
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	249,041	249,041
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	33,625	-	-	33,625
2019 წლის 31 დეკემბერი	304,925	-	(3,856,768)	(3,551,843)

კახაბერ ყრუაშვილი

დირექტორი

შპს მითანა
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს მითანა
(თანხები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მილიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	257,300	-	(2,927,902)	(2,670,602)
წმინდა მოგება	-	-	(1,177,907)	(1,177,907)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(1,177,907)	(1,177,907)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	14,000	-	-	14,000
2018 წლის 31 დეკემბერი	271,300	-	(4,105,809)	(3,834,509)
წმინდა მოგება	-	-	249,041	249,041
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	249,041	249,041
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	33,625	-	-	33,625
2019 წლის 31 დეკემბერი	304,925	-	(3,856,768)	(3,551,843)

კახაბერ ყრუაშვილი
დირექტორი



შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შესავალი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მითანა (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2007 წლის 13 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, გ.ჭყონდიდელის #56. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელია: ამირანი ქორთიაშვილი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხორცპროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების წარმოება და რეალიზაცია .

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „*ბრძანება №6-6*“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31/12/2019	31/12/2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე მოიცავს მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომელიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქტით გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში.

გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;

ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით თითოეული ძირითადი საშუალების სასიცოცხლო ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 5-10 წელი.

შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

მოგების გადასახადი

კომპანია იხვერება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად, ამიტომ მოგების გადასახადის იმ ნაწილს, რომელიც დივიდენდის განაწილებით წარმოიშობა კომპანია აღრიცხავს ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების საანგარიშგებო პერიოდში, გადახდის ფაქტური თარიღისა და პერიოდისგან დამოუკიდებლად, ხოლო მოგების გადასახადის ის ნაწილი, რომელიც სხვა ოპერაციებით წარმოიშობა და არა დივიდენდის განაწილებით აღიარდება სხვა გადასახადების მსგავსად სხვა საოპერაციო ხარჯის მუხლში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღ-ის ჩათვლის უფლები განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საგადასახადო ვალდებულებების მუხლში.

საშემოსავლო გადასახადი

კომპანია იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია საგადასახადო ვალდებულებების მუხლში.

შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით;

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. კომპანიის კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ინვენტარი და სპეც. ინრუმენტები	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმო ოწყობა	სხვადასხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2018	-	54,600	5,995,252	178,807	1,792,463	1,096,467	123,065	287,585	9,528,239
შემოსვლა	-	-	1,309,297	19,100	66,157	91,361.48	508	2,157	1,488,581
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	54,600	7,304,549	197,907	1,858,620	1,187,828	123,573	289,742	11,016,820
ცვეთა და გაუფასურება									
31 დეკემბერი 2018	-	(2,730)	(2,955,170)	(147,916)	(858,810)	(644,449)	(50,035)	(254,248)	(4,609,075)
პერიოდის ცვეთა	-	(6,578)	252,540	37,443	103,094	46,482	15,981	32,394	481,356
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	(9,308)	(2,702,630)	(110,473)	(755,716)	(597,967.09)	(34,054)	(221,854)	(4,432,002)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2018	-	51,870	3,040,082	30,891	933,653	452,018	73,030	33,337	4,614,880
31 დეკემბერი 2019	-	45,292	4,601,919	87,433	1,102,904	589,861	89,520	67,888	6,584,817

შენიშვნა 4

არამატერიალური აქტივები

2018 და 2019 წლის არამატერიალური აქტივების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში

არამატერიალური აქტივი

31 დეკემბერი 2018	58,686
შემოსვლა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2019	58,686.39
ცვეთა და გაუფასურება	
31 დეკემბერი 2018	(23,589)
პერიოდის ცვეთა	(6,699)
გაუფასურება	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2019	(30,288)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2018	35,098
31 დეკემბერი 2019	28,399

შპს მითანა
(თანხები მოცემულია ლარში)

შენიშვნა 5

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019	2018
ნაღდი ფული სალაროში	23,268	3,531
ეროვნული ვალუტა ბანკში	29,257	218
უცხოური ვალუტა ბანკში	3,638	484,208
სულ	56,164	487,957

შენიშვნა 6

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1,488,657	704,239
სულ	1,488,657	704,239

მარაგები 7

	2019	2018
ნედლეული და მასალები	1,433,282	947,889
სხვა მატერიალური მარაგები	122,752	48,028
მზა პროდუქცია	331,135	86,915
სულ	1,887,169	1,082,832

შენიშვნა 8

სესხები

	2019	2018
გრძელვადიანი		
ამირან ქორთიაშვილი 9 % USD	322,282	5,223,132
ამირან ქორთიაშვილი 8% USD	1,653,523	289,073
ამირან ქორთიაშვილი 8% EUR	438,075	1,168,376
ამირან ქორთიაშვილი 8% GEL	8,067,631	458,900
სულ სესხები	10,481,512	7,139,481

	2019 წელი	2018 წელი
მოკლევადიანი		
ამირან ქორთიაშვილი 9 % USD	61,954	-
ამირან ქორთიაშვილი 8% USD	295,829	-
ამირან ქორთიაშვილი 8% EUR	86,639	-
ამირან ქორთიაშვილი 8% GEL	1,279,838	285,276
სულ სესხები	1,724,259	285,276

შპს მითანა
(თანხები მოცემულია ლარში)

შენიშვნა 9

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	1,841,198	1,232,174
მიღებული ავანსები	453,950	-
სულ	2,295,149	1,232,174

შენიშვნა 10

ამონაგები

	2019	2018
საქონლის გაყიდვა	13,980,704	13,326,890
მომსახურების გაწევა	-	-
სულ	13,980,704	13,326,890

შენიშვნა 11

ზოგადი და ადმონისტრაციული ხარჯები

	2019	2018
იჯარის ხარჯი	(353,735)	(520,687)
შრომის ანაზღაურება	(1,739,013)	(1,976,210)
დაზღვევის ხარჯი	(16,014)	(3,726)
მივლინების ხარჯები	(2,920)	(4,978)
კომუნალური ხარჯები	(56,454)	(24,037)
ოფისის ხარჯი	(152,883)	(8,634)
რემონტი	(101,814)	(103,464)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	1,080,068	(228,588)
საგადასახადო ხარჯი	(98,624)	(55,546)
სხვა ხარჯი	(234,706)	(179,173)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(28,386)	(636)
კომუნიკაციის ხარჯები	(299)	(14,870)
სულ	(1,704,780)	(3,120,549)

შენიშვნა 12

მიწოდების ხარჯები

	2019	2018
რეკლამის ხარჯი	(66,943)	(82,016)
მარკეტინგული ხარჯი	(608,273)	(184,102)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(267,388)	(209,974)
ტრანსპორტირების ხარჯი	(10,125)	(60,205)
საწვავი	(405,793)	(422,697)
სულ	(1,358,522)	(958,994)

შპს მითანა
(თანხები მოცემულია ლარში)

შენიშვნა 13

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

საქონლისა და ძირითადი საშუალებების მიწოდება

	2019	2018
დაკავშირებულ მხარესთან (შპს ანა ჯგუფი, შპს ტკბილი ქვეყანა) განხორციელდა საქონლის მიწოდება საბაზრო პირობებით	32,821	-
სულ	32,821	-

საქონლისა და მომსახურების შეძენა:

	2019	2018
<i>საქონლისა და ძირითადი საშუალებების შეძენა</i>	317,362	-
დაკავშირებული მხარისგან (შპს ანა ჯგუფი, შპს ტკბილი ქვეყანა) მოხდა საქონლის შეძენა საბაზრო პირობებით		
<i>მომსახურების შეძენა</i>		
დაკავშირებული მხარისგან (შპს ანა ჯგუფი) მოხდა მომსახურების შეძენა საბაზრო პირობებით	843,680	-
სულ	1,161,042	-

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	2019	2018
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან (შპს ანა ჯგუფი, შპს ტკბილი ქვეყანა)	313	2,724
ვალდებულება დაკავშირებულ მხარესთან (შპს ანა ჯგუფი, შპს ტკბილი ქვეყანა)	140,453	78342.73
სულ	140,766	81,067

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	137,794	143,521
სულ	137,794	143,521

შპს მითანა

(თანხები მოცემულია ლარში)

აანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომელმაც გავლენა იქონია 2019 წლის ანგარიშგებაზე.

კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და მოკლე დროში მიიღო გლობალური პანდემიის სახე. მან მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა, რამაც გავლენა იქონია ეკონომიკაზე, როგორც სტაბილურობის ისე კრიზისის თვალსაზრისით. პანდემიით მიყენებული შესაძლო ზიანის მასშტაბების შემცირების მიზნით გატარებული ღონისძიებების გამო, ნაწილობრივ გაჩერებულია ეკონომიკური საქმიანობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. საქართველოს ხელისუფლებამ დროულად მიმართა შეზღუდვებს და დააწესა რეგულაციები, კომპანიამ გაითვალისწინა ყველა მითითება და რეგულაცია, რის ფარგლებშიც გააგრძელა ეკონომიკური საქმიანობა.

კომპანია გეგმავს შექმნას საქმიანობის უწყვეტობის გეგმა, გაციფრულებაზე კი ყველაზე დიდი აქცენტები გაკეთდება. კომპანია გეგმავს მინიმუმადე დაიყვანოს თანამშრომლების და სხვა პირების ფიზიკური კონტაქტი, იმის გათვალისწინებით რომ კომპანიას არ შეეშალოს ხელი საქმიანობის ფარგლებში.

ზემოთ აღწერილის შემაჯამებლად უნდა ითქვას რომ ვირუსს 2019 წლის ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის მფლობელის და დირექტორის მიერ.